

2017-2018 წლებში პარლამენტის წევრების მიერ მიღებული საჩუქრები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ აგრძელებს თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგს¹. ამჯერად, წარმოგიდგინთ ინფორმაციას დეპუტატებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ მიღებული მსხვილი საჩუქრების შესახებ, რომლებსაც დეპუტატები ძირითადად ახლო ნათესავებისგან იღებენ.

გთავაზობთ იმ დეპუტატების/მათი ოჯახის წევრების ჩამონათვალს, რომლებმაც ბოლოს შევსებული უახლესი დეკლარაციების თანახმად (2017-18) მსხვილი საჩუქრები მიიღეს.²

საჩუქრის მიმღები	საჩუქრის გამცემი	ოდენობა	დეკლარაცია
დავით მათიკაშვილი (უმრავლესობა)	მამა	120 000 აშშ დოლარი	
თამარ მუნიაშვილი <i>რომან მუნიაშვილის მეუღლე</i> (უმრავლესობა)	არ არის მითითებული	50 000 აშშ დოლარი	
კახაბერ ოქრიაშვილი (უმრავლესობა)	შვილი	წილი (დეკლარაციის მიხედვით, ღირებულება შეადგენს 1 250 000 ლარს)	
თინათინ კიკლაშვილი <i>ირაკლი სესიაშვილის მეუღლე</i> (უმრავლესობა)	ნათესავი	აქციები (დეკლარაციის მიხედვით ღირებულება შეადგენს 12 900 აშშ დოლარს)	
ნინო წილოსანი (უმრავლესობა)	მამა	100 000 ლარი	
თეა კვიციანიძე <i>ირაკლი აბუსერიძის მეუღლე</i> (უმრავლესობა)	1. მამა 2. ბებია 3. მამა	1. ბინა 80 000 აშშ დოლარის ღირებულების 2. ბინა 180 000 აშშ დოლარის ღირებულების 3. სარდაფი 5 000 აშშ დოლარის ღირებულების	
ზაზა გაბუნია (უმრავლესობა)	ოჯახის წევრი	56 000 აშშ დოლარი	
თინათინ აბრალავა <i>ვანო ბარდიაშვილის მეუღლე</i> (უმრავლესობა)	არ არის მითითებული	1. ბინა 170 000, ლარის ღირებულების 2. ბინა 60 000 ლარის ღირებულების	
მარგალიტა ჭყონია <i>მუხრან ვახტანგაძის მეუღლე</i> (უმრავლესობა)	არ არის მითითებული	ბინა, 27 600 აშშ დოლარის ღირებულების	
თათია სახელაშვილი <i>შალვა კიკნაველიძის მეუღლე</i> (უმრავლესობა)	მშობლები	ავტომანქანა, 22 000 აშშ დოლარის ღირებულების	
ეკა კანდელაკი <i>გიორგი წერეთლის მეუღლე</i> (უმცირესობა)	1. მშობელი 2. არ არის მითითებული	1. 5 000 აშშ დოლარი 2. 4 912 ფუნტი სტერლინგი	

ჩა მოთხოვნებს ითვალისწინებს კანონი?

- თანამდებობის პირს არ ეკრძალება საჩუქრის მიღება, თუმცა მოქმედებს გარკვეული სახის შეზღუდვები.
- საანგარიშო წლის განმავლობაში მიღებული საჩუქრების ჯამური ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მისი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 15%-ს, ხოლო ერთჯერადად მიღებული საჩუქრებისა - 5%-ს.
- თანამდებობის პირი ვალდებულია დეკლარაციაში მიუთითოს მისი/მისი ოჯახის წევრის მიერ მიღებული საჩუქარი, რომლის ღირებულება აღემატება 500 ლარს.

გაომნაკისაბი

- საჩუქრად არ ითვლება საჯარო მოსამსახურისათვის, მისი ოჯახის წევრისათვის ახლო ნათესავის (მათ შორის ოჯახის წევრის, მშობლის, დის, ძმის) მიერ უსასყიდლოდ ან შეღავათიანი პირობებით გადაცემული ქონება, თუმცა ეს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირს ახლო ნათესავისგან მიღებული საჩუქრის დეკლარირების ვალდებულებისგან.

დეპუტატთან მიმართებით დაგეგმიური შეფასება - სიახლე პარლამენტის წევრის ქსევის კოდექსში

დეპუტატი, 31 ოქტომბერს მიღებული ქცევის კოდექსის თანახმად დამატებით ვალდებულია მიღებულ საჩუქრებთან დაკავშირებით ინფორმაცია მიანოღოს პარლამენტსაც, კერძოდ ეთიკის საბჭოს.

- ეთიკის საბჭო სწავლობს და მონიტორინგს უწევს საჩუქრებთან დაკავშირებით სავარაუდო დარღვევების ფაქტებს.
- დარღვევის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ვებგვერდზე გამოქვეყნდება დეპუტატის შესახებ აღნიშნული ინფორმაცია და ამასთანავე საბჭო უფლებამოსილია მიმართოს პარლამენტის წევრს სარეკომენდაციო ბარათით.
- ქცევის კოდექსით დეპუტატს ეკრძალება ნებისმიერი საჩუქრის მიღება, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაზე.
- პარლამენტის წევრი ვალდებულია, ერთი თვის ვადაში მოახდინოს კანონმდებლობით დადგენილი იმ საჩუქრის დეკლარირება საჩუქრების რეგისტრში, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 300 ლარს.
- საჩუქრების რეგისტრში უნდა მიეთითოს:
 - ▶ მიმღები პარლამენტის წევრის სახელი და გვარი
 - ▶ მიუქმელის სახელი და გვარი/იურიდიული პირის სახელწოდება
 - ▶ საჩუქრის მიღების თარიღი
 - ▶ საჩუქრის აღწერა და საბაზრო ღირებულება
 საჩუქრების რეგისტრი არის საჯარო და აწარმოებს ეთიკის საბჭოს სამდივნო.

შეფასება და რეკომენდაციები

თანამდებობის პირის დეკლარაციის ფორმაში, სადაც დეპუტატმა საჩუქრის შესახებ ინფორმაცია უნდა შეავსოს არ არსებობს გრაფა სადაც მიეთითება საჩუქრის გადაცემის პირის ვინაობა, მაშინ, როდესაც კანონი პირდაპირ ითხოვს, რომ დეკლარაციაში, სხვა ინფორმაციებთან ერთად უნდა ჩაინეროს ასეთი პირი. შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ დეკლარაციის ფორმა კანონთან შედარებით გამჭვირვალობის ნაკლებ სტანდარტს ადგენს, რაც ცხადია კანონის მოთხოვნების შეუსრულებლობასაც წარმოადგენს.

თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ ხშირად დეპუტატები საჩუქრის შესახებ ინფორმაციას სხვადასხვა გრაფაში უთითებენ, თუმცა არცერთ შემთხვევაში არ ჩანს საჩუქრის გამცემის ვინაობის შესახებ ინფორმაცია.

ახლო ნათესავებისგან მიღებულ საჩუქრებზე მეტად მღვარის არარსებობა გონივრული და გამართლებული შეიძლება იყოს, თუმცა ამავე დროს არსებობს საფრთხე, რომ (სათანადო ზედამხედველობის არარსებობის შემთხვევაში) ეს გამონაკლისი კანონის მოთხოვნის გვერდის ავლის საშუალებად იქცეს, რომელსაც არაკეთილსინდისიერი მოხელეები კანონით აკრძალული შემოსავლის დამალვის ან „გათეთრებისთვის“ გამოიყენებენ - ანუ არაჯეროვანი შემოსავლის დეკლარირება მოხდება, როგორც ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავისაგან მიღებული საჩუქრისა. როგორც ინფორმაციიდან ჩანს პარლამენტის წევრები მალევე დაიწყეს ინფორმაციის დაფარვა სხვადასხვა გრაფაში უთითებენ, თუმცა არცერთ შემთხვევაში არ ჩანს საჩუქრის გამცემის ვინაობის შესახებ ინფორმაცია.

კორუფციის და კანონის დარღვევის პრევენციის მიზნით:

- საჯარო სამსახურის ბიურომ უზრუნველყოს დეკლარაციის შევსების ფორმისა და ინსტრუქციის ცვლილება კანონის შესაბამისად. თანამდებობის პირმა დეკლარაციაში უნდა მიუთითოს საჩუქრის გამცემი პირის შესახებ ინფორმაცია;

- კორუფციული რისკების გათვალისწინებით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ განსაკუთრებულ შესწავლას საჭიროებს დეპუტატების მიერ ფულადი საჩუქრების მიღება ახლო ნათესავებისაგან.

1 თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრების შესახებ იხ. ჩვენი ბლოგი: „თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები დამატებით შესწავლას საჭიროებს“, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 7 მარტი, 2018. <https://goo.gl/n35Hgm>

2 <https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/107420>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/107312>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/111837>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/107305>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/108763>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/114574>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/111737>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/114084>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/108800>
<https://declaration.gov.ge/Home/DownloadPdf/112009>